2-5597/24
16-04-2024

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის
დასკვნა

საქართველოს კანონის პროექტზე „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ (N07-3/433; 03.04.2024)

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა 2024 წლის 15 აპრილის კომიტეტის სხდომაზე პირველი მოსმენით საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ (N07-3/433; 03.04.2024).

I. კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტით წესრიგდება შემდეგი ძირითადი საკითხები: უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისა და უცხოური ძალის ცნებების განმარტება; სუბიექტის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაცია და სხვა სათანადო პროცედურული საკითხები; უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრირებული სუბიექტის მიერ ყოველწლიური საფინანსო დეკლარაციის წარდგენა; კანონპროექტით განსაზღვრულ შესაბამის მოთხოვნათა შეუსრულებლობისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება.

II. კომიტეტის შეფასება

კანონპროექტი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით აწესრიგებს სუბიექტის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციასა და უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის საქმიანობის გამჭვირვალობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის განმტკიცებას. ამასთანავე, კანონპროექტი არ ზღუდავს მის საფუძველზე უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრირებული სუბიექტის საქმიანობას.

კანონპროექტი ეფუძნება და ესადაგება ისეთ ქვეყნებში მოქმედ კანონმდებლობასა და პრაქტიკას, როგორებიც არის: ამერიკის შეერთებული შტატები[1], ისრაელი[2], აგრეთვე ევროკავშირის სათანადო ორგანოების მიერ განსახილველ დირექტივის პროექტს,[3] საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის (საფრანგეთის პარლამენტის ქვედა პალატის) მიერ მიღებულ კანონპროექტს[4]. წარმოდგენილი კანონპროექტი შეესაბამება ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ დადგენილ პრინციპებს.[5]

ამრიგად, იურიდიულ საკითხთა კომიტეტი მხარს უჭერს წარმოდგენილ კანონპროექტს და მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიღებას.

კომიტეტმა საქართველოს პარლამენტის 108-ე მუხლის შესაბამისად განიხილა აგრეთვე 2 ალტერნატიული საკანონმდებლო პაკეტი: ა) საქართველოს პარლამენტის წევრების: ბექა ლილუაშვილის, ანა ბუჩუკურის, მიხეილ დაუშვილის, შალვა კერესელიძისა და თეონა აქუბარდიას მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონების პროექტები: „ოკუპანტი ქვეყნის – რუსეთის ფედერაციის გავლენებისგან დაცვის შესახებ“ და „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (N07-3/434, 04.04.2024); ბ) საქართველოს პარლამენტის წევრების: ბექა ლილუაშვილისა და მიხეილ დაუშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონების პროექტები: „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (N07-3/435, 08.04.2024). კომიტეტი მიიჩნევს, რომ მიზანშეწონილია, ძირითადი კანონპროექტი მიღებულ იქნეს საფუძვლად, ხოლო ალტერნატიული საკანონმდებლო პაკეტები უარყოფილ იქნეს.

III. დასკვნითი ნაწილი

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ (N07-3/433; 03.04.2024) კომიტეტის სხდომაზე

---

[1] იხ. https://www.justice.gov/nsd-fara/fara-index-and-act

[2] იხ. https://main.knesset.gov.il/activity/legislation/laws/pages/lawprimary.aspx?t=lawlaws&st=lawlaws&lawitemid=2000650

[3] იხ. https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=COM:2023:637:FIN

[4] იხ. https://www.assemblee-nationale.fr/dyn/16/textes/l16t0269_texte-adopte-seance

[5] იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „ეკოდიფენსი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ“ (Ecodefence and Others v. Russia), განაცხადები N9988/13 და სხვა; იხ. აგრეთვე ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2020 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე C-78/18 უნგრეთთან მიმართებით.

განხილვის შედეგად ცნო საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით განხილვისათვის მომზადებულად.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ანრი ოხანაშვილი